# სასწავლო ოლიმპიადა ქართულ ენაში

## (დასკვნითი ეტაპის დავალებები არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის)

ქართული ენის ოლიმპიადის მესამე ეტაპზე მოგეთხოვებათ ***ორი დავალების*** შესრულება.

დავალებათა შესასრულებლად გეძლევათ ***4 საათი.***

თითოეული ნაშრომის ***მაქსიმალური ქულაა 20.***

***ყურადღება:*** ორივე თხზულება უნდა გადაიტანოთ ***პასუხების ფურცელზე.*** მხოლოდ ტესტის რვეულში შესრულებული დავალებები ***არ გასწორდება.***

***არსად მიუთითოთ სახელი და გვარი,*** წინააღმდეგ შემთხვევაში დავალებები ***არ შეფასდება.***

## წერითი დავალება №1

### მოიფიქრეთ სათაური და დაწერეთ მოთხრობის გაგრძელება.

პატარა ქალაქში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც თოვლი უყვარდა ძალიან.



ის წინასწარ გრძნობდა ხოლმე თოვლის მოსვლას, გავიდოდა ქუჩაში და ხელებგაშლილი შეჰყურებდა ცას.

ამას რომ დაინახავდნენ, გამოეფინებოდნენ ქუჩაში ბავშვები და კაცთან ერთად ელოდნენ თოვლს.

მოთოვდა.

იდგა კაცი და სველდებოდა.

მის ირგვლივ ბავშვები დახტოდნენ.

– ბავშვებს რომ უხარიათ თოვლში ხტუნვა, გასაგებია, მაგრამ შენ, ამხელა კაცს, რა მოგდისო? – ეკითხებოდნენ ხანდახან.

კაცი მხოლოდ ამას ეტყოდა ხოლმე პასუხად: ...

**შავი სამუშაოსათვის**

---------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------

# წერითი დავალება №2

**ინსტრუქცია:**

მოცემული სათაურის მიხედვით დაწერეთ ესე.

სასურველია, ნაშრომი დაახლოებით ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი თუ სპექტაკლი, სხვათა ნაამბობი, საკუთარი გამოცდილება და ა. შ.

შავი სამუშაოსათვის დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.***

***ნამუშევარი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.***

***არსად მიუთითოთ სახელი და გვარი,*** წინააღმდეგ შემთხვევაში დავალება ***არ შეფასდება.***

*გისურვებთ წარმატებას!*

***დაწერეთ ესე მოცემული სათაურის მიხედვით:***

„წარსულზე მეტად მომავალი მაინტერესებს“ *(ალბერტ აინშტაინი).*

**შავი სამუშაოსათვის**